# 2023 წლის ანგარიში

Charte.ge





# ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲔ?

Charte.ge საქველმოქმედო პლატფორმაა, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დააუფინანსოს ინტერნეტი და ლეპტოპი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს. „ჩართეს“ გუნდი მოსწავლეებს უზრუნველყოფს, ასევე, საგანმანათლებლო რესურსებით, ტრენინგებითა და მუდმივი ტექნიკურ-საგანმანათლებლო

# ᲠᲐᲢᲝᲛ?

დღეს საქართველოში 78,000-მდე მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტი. 21-ე საუკუნეში ინტერნეტზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ინტერნეტის მიწოდებით მოსწავლეს უჩნდება არა მხოლოდ სწავლისა და განვითარების ულევი შესაძლებლობა, არამედ ეცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ, ეზრდება შესაძლებლობათა ველი, უჩნდება თვითგანვითარების სტიმული და მიზნები.

# როგორ მუშაობს Charte.ge?

სკოლების დახმარებით აღვრიცხავთ ამა თუ იმ რეგიონის თითოეულ სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს.

ვსტუმრობთ თითოეულ მოსწავლეს, ვრწმუნდებით მათ საჭიროებაში და საიტზე აღვრიცხავთ მათ ისტორიას.

კერძო პირები რეგისტრირდებიან ყოველთვიურ დონორებად და აფინანსებენ ინტერნეტს ან ლეპტოპს.

ისინი ირჩევენ, მათი ყოველთვიური შემოწირულობის რა ნაწილი დაფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მოსწავლეებს ვურიგებთ ხელმისაწვდომ, ვირუსისგან თავისუფალ, სწრაფ კომპიუტერებს და ვუფინანსებთ ინტერნეტს.

მოსწავლეებს ვრთავთ მენტორობის პროგრამაში და ვაძლევთ წვდომას რესურსებსა და ტრენინგზე.

დონორები იღებენ გამჭვირვალობის ანგარიშს დეტალური ხარჯებით, სიახლეებითა და წარმატების ისტორიებით.

დროში განმეორებადი კვლევების საშუალებით ჩვენ მუდმივად ვზომავთ პროექტის გავლენას მოსწავლეებზე.

# 2023 წელი რიცხვებში

| | 2023-ში | სულ |
|---|---|---|
| მოსწავლეები | 358 | 2438 |
| დონორები | 271 | 5001 |
| მოქალაქეების შემოწირულობები | 554 913 | 2 254 685 |
| კომპანიების შემოწირულობები | 198 464 | 1 243 227 |
| დასახლებები | 139 | |
| ტრენინგები | 25 | |

# მოსწავლეების რაოდენობა
## წლების მანძილზე






# სად ვიმუშავეთ 2023 წელს



# რაში დაიხარჯა კერძო დონორების შემოწირულობები
2023 წელს



# რა მოხდა წელს განსაკუთრებული?



მოვაწყვეთ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

ჩავატარეთ საჯარო სემინარი ეკრანდამოკიდებულების შესახებ

„ჩართე" წარვადგინეთ ღონისძიებებზე: Tbilisi Open Air, DevFest, DataFest, „შეცვალე მომავალი"

ჩავატარეთ ტრენინგები თბილისში, ბაღდათში და აჭარაში


მადლობა
მხარდაჭერისთვის!
I Hurdle